სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება # 179/06

ქ. თბილისი **2023 წელი**

ერთის მხრივ,სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ლაშა საღინაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს “ავერსი-ფარმას“ (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის ეკატერინე მიქელაძის (მინდობილობის სარეგისტრაც #221744875, ინდივიდუალური #66752517260322) სახით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ’’ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ს[1]’’ ქვეპუნქტის შეაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების დაფინანსების ფარგლებში (მოთხოვნის წერილები 772/10 და 2368/10), მედიკამენტებისა (CPV33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები) და სამედიცინო სახარჯი მასალების (CPV33140000-სამედიცინო სახარჯი მასალა) სახელმწიფო შესყიდვა.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის სრული აღწერა და ძირითადი მახასიათებლები:

	დასახელება		**რაოდენ.**	**ერთეულის ფასი**	**მთლიანი თანხა**
1	ართროსტოპი 100მლ კრემი	ტუბი	2	28.71	57.42
2	ასპირინი C #10ტ შუშხუნა BAYER	შეკვრა	2	10.84	21.68
3	აუგმენტინი 625მგ #14ტ	შეკვრა	2	14.96	29.92
4	აციკლოვირი 0.2გ #20ტ		2	5.92	11.84
5	აცც 200მგ #20ტ შუშხუნა		4	14.4	57.6
6	ბამბა 50გ არასტ.სამედ	შეკვრა	4	0.6	2.4
7	გლუკოზა 10% 500მლ #1ფლ (ლიქვ)	შეკვრა	2	2.56	5.12
8	დექსამეტაზონ აჯიო 4მგ/მლ1მლ#5ა	შეკვრა	10	1.76	17.6
9	დიკლოფენაკი 1% 30გ მალამო	ტუბი	4	1.08	4.32
10	კარდიომაგნილი 150მგ #100ტ	შეკვრა	1	16.76	16.76
11	კეტზი 30მგ/მლ 1მლ #1ა	პაკეტი/ფხვნილი	5	5.44	27.2
12	კოლდრექსი ჰოთრემი ლიმონით #10	პაკეტი/ფხვნილი	2	15.96	31.92

13	კორვალოლ-დარნიცა 25მლ ფლ	ფლაკონი	5	2.04	10.2
14	კოფეინი ნ/ბ 0.2გ #10ტ (ნეოფ)	აბი	1	2	2
15	ლიზლი 15მგ/5მლ 100მლ სიროფი	შეკვრა	2	10.56	21.12
16	ლიდოკაინი-ლიქვო 2% 20მლ ფლ	შეკვრა	2	3.08	6.16
17	ლიოტონი 1000 50გ ჟელე		8	21.08	168.64
18	მაალოქსი სუსპენზია 15მლ #30პაკ	აბი	2	27.56	55.12
19	მაქსიტროლი თვ/წვეთები 5მლ		2	12.4	24.8
20	მეზიმ ფორტე 3500ერთ #20დრაჟე	აბი/დრაჟე	4	4.04	16.16
21	მიგოფენი 400მგ #10ტ	შეკვრა	5	8	40
22	სიმალგელი 250მლ ფლ		2	22.47	44.94
23	სტრეპტოციდის მა-მო 10% 25გ ტუბ	ტუბი	2	1.68	3.36
24	ლივ-ანგინი #16ტ საწ(თაფ/ლიმონ	პაკეტი/ფხვნილი	8	9.85	78.8
25	ტრაუმელ S 2.2მლ #5ა	შეკვრა	1	25.75	25.75
26	ტრაუმელ S 50გ კრემი	ტუბი	4	24.23	96.92
27	ციტრამონი #6ტ (დარნიცა)	აბი	10	0.4	4
					881.75

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 881.75 (რვაასოთხმოცდაერთი ლარი და 75 თეთრი) **ლარს**. მათ შორის

CPV33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები- 879.35 ლარი
CPV33140000-სამედიცინო სახარჯი მასალა- 2.40 ლარი

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ ივ. ჯავახიშვილისსახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 25 აგვისტოს #189/02-01 ბრძანებით განსაზღვრული ინსპექტირების ჯგუფი, მოთხოვნის წერილების ავტორები რომელთაც შეუძლიათ ინსპექტირება განახორციელონ ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად. ინსპექტირება გულისხმობს შესაბამისობის დადგენას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან, ხელშეკრულების პირობების შესრულებას, მიწოდებისათვის აუცილებელი პირობებისა და ნორმების დაცვას.

4.2 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესასყიდი საქონლის ხარისხის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგი დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზის მითითებით. შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება დამატებითი ანაზრაურების გარეშე, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (სატრანსპორტო საშუალებების ჩათვლით) უზრუნველყოს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა, გამოვლენიდან არაუგვიანეს 30(ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

4.4მოწოდებული საქონლის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მოთხოვნებს, წუნის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით შეცვალოს წუნდებული საქონელი, წუნის გამოვლენიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა.

4.5 ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება განხორციელდება ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტით განსაზღვრული პირ(ებ)ის მიერ შედგენილი ინსპექტირების დადებითი დასკვნისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტით.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების, ინსპექტირების დადებითი დასკვნის გამოუწერლობის შემთხვევაში „მიმწოდებელს“ შეუჩერდება დაფინანსება, ხოლო საკითხის 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მოუგვარებლობის შემთხვევაში, მიიღება გადაწყვეტილება მასთან ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

5.4. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებასა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე, თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 06 მარტის N52/02/01 ბრძანების საფუძველზე, უფლებამოსილი პირ(ებ)ია: თსუ-ს საფინანსო დეპარტამენტის უფროსი - მანონი ჯოჯუა, თსუ მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი - გიორგი ტალახაძე და თსუ სამეურნეო განყოფილების უფროსის მოადგილე - ელგუჯა ობოლაძე.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი #1 (სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საწყობი).

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან კვალიფიციური ელ. ხელმოწერის ან კვალიფიცური ელ. შტამპით დადასტურებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღე.

6.3 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს შესყიდვის ობიექტის მოწოდების პირობებში ცვლილებები ურთიერთშეთანხმების გარეშე.

7.ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

7.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

7.2. ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტიურად მოწოდებული საქონლის შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორებით „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების და/ან საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის გამოწერიდან და ინსპექტირების დადებითი დასკვნის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულების 2.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულების მე-6მუხლით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული ნივთის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8.3 წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლით განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8.4 იმ შემთხვევაში, თუ დამრღვევ მხარეზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) %-ს, მეორე მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების პირობების მე-8 მუხლით.

9.4. მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.მხარე ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება შეატყობინოს მეორე მხარეს, სადაც მითითებული იქნება მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი;

9.4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულება ვადაზე ადრე იქნება შეწყვეტილი.

ბ) თუ მიმწოდებლისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

9.5. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

9.6. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით;

9.7. ხელშეკრილების 9.4.1. პუნქტში მითითებული რომელიმე გარემოებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული სამუშაოს ღირებულება;

10. დაუძლეველი ძალა

10.1მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით და აღნიშნული უშუალო ზემოქმედებას ახდენს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით, აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

10.3თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო და მხარეები შეწყვეტენ წინამდებარე ხელშეკრულებას, მათ არ აქვთ კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.

10.4ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. გარანტია და საგარანტიო მომსახურების პირობები

12.1. მიმწოდებელი იძლევა მიწოდებული შესყიდვის ობიექტის არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობის გრანტიას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება ახალი, არა მეორადი ქარხნულად აღდგენილი/გადამუშავებული და შეფუთვის მთლიანობა არ იქნება დარღვეული.

12.2. ხელშეკრულების 2.2 პუნქტით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის (მედიკამენტების) დარჩენილი ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს არანაკლებ 6 (ექვსი) თვე. ქარხნული წუნის შემთხვევაში „მიმწოდებელი“ ვალდებულია აღმოფხვრას წუნი/ხარვეზი ან შეცვალოს საქონელი ახლით.

12.3. საგარანტიო პერიოდში ინსპექტირება ხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, საქონლის მიღებისას, აგრეთვე მიღების შემდეგ, მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების არსებობის პერიოდში.

12.4. საქონლის მიღებისას ინსპექტირების პერიოდში ქარხნული წუნის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გამოცვალოს საქონელი ახლით გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღისა. საგარანტიო პერიოდში ექსპლუატაციის პროცესში, სწორი ექსპლუატაციის პირობებში და მექანიკური დაზიანების გარდა, წარმოქმნილი ხარვეზების არსებობის შემთვევაში, შემსყიდველი წერილობით ან/და ელექტრონული ფორმით აცნობებს მომსახურების გაწევის საჭიროების შესახებ „მიმწოდებელს“. „მიმწოდებელი“ მისი წარმომადგენლის მიერ, საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) შეტყობინებიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა ახდენს რეაგირებას. საჭიროების შემთხვევაში სამი სამუშაო დღის ვადაში დგება დეფექტური აქტი, რომელიც მოიცავს შესასრულებელ სამუშაოებს და მათ ხანგრძლივობას. სერვის მომსახურება განხორციელდება არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში თუ ასეთი პროდუქციისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები მიმწოდებელს აქვს ადგილზე (საწყობში), წინააღმდეგ შემთხვევაში დეფექტური აქტით განსაზღვრულ გონივრულ ვადაში მაგრამ არაუმეტეს მწარმოენლის მიერ გაცემული პირობების შესაბამისად.

12.5. იმ შემთხვევაში თუ საქონელი არ ექვემდებარება შეკეთებას, იგი უნდა შეიცვალოს ახლით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის კვალიფიციური ელ. ხელმოწერით ან კვალიფიცური ელ. შტამპით დადასტურებიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 მაისის ჩათვლით. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა იმ ნაკისრი ვალდებულებების ამოწურვამდე, რომლის შესრულებისთვის დადგენილია განსხვავებული ვადები.

14. სხვა პირობები

14.1ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად.

14.2 შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირ(ებ)ი და ასევე კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ი ადასტურებენ, რომ მიმწოდებლის მიმართ სრულად აკმაყოფილებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს და მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მის: ი.ჭავჭავაძის გამზირი #1
რეკვიზიტები:

ეკონომიკური შემოსავლები

საიდენტიფიკაციო კოდი:204864548

Digitally signed by LEPL Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Date: 2023.03.06 11:39:13 +04'00'

მიმწოდებელი

შპს „ავერსი-ფარმა“

საიდენტიფაკიო კოდი: 211386695
ქ.თბილისი , დ. აღმაშენებლის გამზ. N148
ტელ: +995 (32) 2 506 506
E-mail: sales@aversi.ge
საბანკო რეკვიზიტები:

სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი:BAGAGE22
ა/ა: GE06BG0000000122932100

შპს "ავერსი-ფარმას"
კომერციულლი დირექტორი

/ე.მიქელაძე/

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი